# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

2 თებერვალი
ხუთშაბათი
2023 წელი
№6 (9268)
ფასი 40 თეთრი


## მსტაფეტა იტალიიდან

**იტალიაში (ფრიული, ვენეცია, ჯულია) დასრულდა რიგით მე-XVI ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი. შემდგომ ევროპულ ოლიმპიურ ფესტივალს – 2025 წლის თებერვალში საქართველო (ბაკურიანი, თბილისი, ბათუმი) უმასპინძლებს.**

მომავალი ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას მიეძღვნა ქალაქ ტრიესტში (იტალია) გამართული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი, გენერალური მდივანი რაფაელე პანიოცი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** „ბორჯომ-ბაკურიანი 2025-ის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მამუკა ხაბარელი,** სეოკის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი,** საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი **რუსუდან აფციაური,** ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი** და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე **ეკატერინე ორჯონიკიძე.**

სპიროს კაპრალოსმა, მიესალმა რა სტუმრებს, მადლიერება გამოხატა, რომ მორიგ ევროპულ ფესტივალს საქართველო უმასპინძლებს. **„გილოცავთ ფესტივალზე გუშინ ფიგურულ სრიალში კოტე სუპატაშვილის მოპოვებული ვერცხლის მედალს, ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მაღალ დონეზეა სპორტის რამდენიმე ზაფხულის სახეობა თქვენთან, ვიცით თქვენი სპორტსმენების წარმატებების შესახებ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ევროპულ თამაშებზე. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში გექნებათ წარმატებები სპორტის ზამთრის სახეობებშიც საფესტივალო ინფრასტრუქტურის შექმნა და თავად ფესტივალის ჩატარება ერთგვარი სტიმული იქნება თქვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის განვითარებისათვის. საქართველო და ბაკურიანი იმიტომაც შეირჩა, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ჰყავს ძლიერი და გამოცდილი ხელმძღვანელობა, რომ ამ გუნდმა 2015 წელს წარმატებით ჩაატარა ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი. ჩვენ გვჯერა თქვენი და მივესალმებით, რომ თქვენს გვერდითაა ქვეყნის მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი“,** – აღნიშნა სპიროს კაპრალოსმა.

**ლერი ხაბელოვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოში ფესტივალის ჩატარება შესაძლებელი გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო მონაწილეობით. **„ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სამ ადგილმდებარეობაზე მასშტაბური და კომპლექსური სპორტული ღონისძიების ჩატარება რთული იქნება, მით უმეტეს, როცა დროის მოკლე მონაკვეთში შესაქმნელია შესაბამისი საფესტივალო ინფრასტრუქტურა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ სათანადოდ მოვემზადებით და კარგად ჩავატარებთ ფესტივალს. ამ რწმენას მიმყარებს 2015 წელს თბილისში წარმატებით ჩატარებული ზაფხულის ევროპული ფესტივალის გამოცდილება. საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, პირადად მინისტრის თეა წულუკიანის, თბილისის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, დარგობრივი სამსახურებისა და უწყებების ხელმძღვანელების მხარდაჭერა და თანადგომა. რა თქმა უნდა, ჩვენ თქვენი დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ ასე იქნება“,** – აღნიშნა **ლერი ხაბელოვმა.**





**მამუკა ხაბარელმა** ისაუბრა „ბორჯომ-ბაკურიანი-2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ფორმირებასა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საფესტივალო კონტრაქტის ხელმოწერის ორგანიზებაზე **„კონტრაქტის ტექსტი ყველა მხარესთან შეთანხმებულია. ხელმოწერაც ახლო მომავალში გაიმართება საქართველოში“,** – აღნიშნა **მამუკა ხაბარელმა.**

**„დიდი პატივია, რომ ჩვენს რეგიონში, კერძოდ, ბაკურიანში ორი წლის შემდეგ ჩატარდება ევროპული ფესტივალების გახსნა-დახურვის ცერემონიალები და პროგრამით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრება ღია თოვლზე. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ კონტინენტის ჭაბუკმა სპორტსმენებმა ბაკურიანში თავი იგრძნონ კომფორტულ ატმოსფეროში, მიეცეთ მათ საუკეთესო სპორტული შედეგების ჩვენების შესაძლებლობა და დაუბრუნ-დნენ მშობლიურ ქვეყნებს მდიდარი პოზიტიური შთაბეჭდილებებით. ამჯერად კი მზად ვართ მივიღოთ საფესტივალო დროშა“,** – აღნიშნა **ოთარ არბოლიშვილმა.**

**ეკატერინე ორჯონიკიძემ** თავის გამოსვლაში ისაუბრა ბაკურიანზე, მის მდიდარ სპორტულ ტრადიციებზე. **„კარგი იქნება თუ საფესტივალო კონტრაქტზე ხელმოწერის თარიღი დაემთხვევა თებერვლის მეორე ნახევარსა და მარტის დასაწყისში ბაკურიანში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკში. სიამოვნებით ვეპატიჟებით ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელობას მსოფლიოს ჩემპიონატზე – თქვენც უშუალოდ მოინახულებთ იმ ტრასებსა და ადგილებს, სადაც 2025 წელს ჩატარდება საფესტივალო შეჯიბრებები,** – აღნიშნა **ეკატერინე ორჯონიკიძემ.**

ქალაქ უდინეში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე საფესტივალო დროშა საქართველოს წარმომადგენლებს გადაეცათ.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2023 წლის 27 იანვარს გაიმართა ბორჯომის საკრებულოს გეგმიური სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №95 დადგენილებაში;**

**ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №96 დადგენილებაში;**

**ცვლილები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის 8 დადგენილებაში;**

**ცვლილები შეიტანეს „სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ მიერ სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების დადგენილების და სააღსრულებო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აგვისტოს №30 დადგენილებაში;**

**მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ზაალიშვილის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მამუკა ლურსმანაშვილის და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ. მანჯავიძის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში რველში, ზანავში, კორტანეთში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა) სახელწოდებაში.**

## სოციალური დახმარებები ბენეფიციარებს

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მიხეილ ხუციშვილის ინტერვიუ სოციალური დახმარებების თაობაზე. დღეს გთავაზობთ „ბორჯომის“ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №95 დადგენილების მიერ მიღებულ ცვლილებებს.**

**სტაციონარულ მომსახურეობაში:**

სრული დაფინანსება გაეწიოთ კარდიოლოგიურ პაციენტებს წლის განმავლობაში 2500 ლარის ოდენობით. დაფინანსება ითვალისწინებს კალენდარული წლის განმავლობაში ფინანსური დახმარების გაწევას მხოლოდ კარგიოქირურგიული ჩარევის თანაგადახდისას, ასევე მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებასას.

**ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება.**

ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ყველა ოჯახი მიიღებს 1000 ლარს ერთჯერადად, რამაც გავლენა იქონიოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ტყუპი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში თანხა გაიცემა ახალშობილის რაოდენობის მიხედვით.

**18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება.**

ყველა მრავალშვილიან ოჯახს ყოველთვიური გასაცემი თანხა გაეზარდა 50 ლარით:

ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე, ხოლო 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარის დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე 200 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი.


(გაგრძელება მეორე გვერდზე)



## მეგობრებო! გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“!

**90 წლის რაიონულ გაზეთ „ბორჯომს“ ქვეყანაში არსებული კრიზისისა და ცხოვრების გაძვირების გამო გარკვეული ფინანსური სიძნელეები შეექმნა, 100%-ით გაგვიძვირეს გაზეთის ბეჭდვა. იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა რედაქციის თანამშრომელთა ისედაც მიზერული ხელფასები, ფოსტალიონებს ველარ ვუხდით ანაზღაურებას, ველარც ფერად ილუსტრირებულ გაზეთს ვბეჭდავთ.**

**ბუნებრივია, გაზეთის ხელმომწერთა სიმრავლე გადამწყვეტია. მთავარია საუკუნეს მიტანებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, კულტურულმა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთმა „ბორჯომმა“ სიცოცხლე გააგრძელოს.**

**ამიტომ მოგმართავთ, ჩვენი ხეობის წიგნიერ მაცხოვრებლებს, ვისაც ჯერ კიდევ გიყვართ კითხვა, შეგახსენებთ, გამოიწერეთ სანდო, სამართლიანი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი „ბორჯომი“. იგი ერთადერთია მთელ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდის და ვრცელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში ხელმომწერებზე.**

**ახლა ისევ თქვენი იმედი გვაქვს! გთხოვთ, გამოიწეროთ გაზეთი „ბორჯომი“. ამავე დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ფირმებს, ინდმეწარმეებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შეღავათიან ფასად გთავაზობთ ჩვენს სამსახურს – გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ თქვენს განცხადებებს, მილოცვებს და სხვა მასალებს. თუ თანახმა იქნებით, თქვენი საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) ან თქვენი მოწინავე თანამშრომლების შესახებ მოვამზადებთ საგაზეთო წერილებს. ყოველგვარი რეკლამა და ქველმოქმედება გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**გაზეთი მკითხველის გარეშე არ არსებობს, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დარჩეთ გაზეთის გარეშე, რომელშიც ქვეყნდება ობიექტური და სანდო ინფორმაციები, თუ გინდათ, გაზეთი შინაარსობრივად უფრო საინტერესო გახდეს, მოგვწერეთ, თქვენი შეხედულებები რაიონში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილების ავ-კარგზე, რომელი მოგეწონათ, რომელმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი, მომავალში რომელ თემაზე გავამახვილოთ ყურადღება. თქვენს რჩევა-შენიშვნებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.**

**გაზეთ „ბორჯომს“ პრესის გამავრცელებლები ბინაზე მოგართმევენ. მთელი წლით გაზეთის გამოწერის ღირებულება 20 ლარია. უსაშველოდ გაძვირებული პოლიგრაფიული მომსახურების მიუხედავად, რედაქციას არ გაუზრდია გაზეთის ღირებულება.**

**განათავსეთ თქვენი რეკლამები, განცხადებები, მილოცვები, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ემსახურება თქვენი კომპანიის წინსვლას. ჩვენ ერთად, თანადგომით გადავარჩენთ საუკუნეს მიტანებულ გაზეთს და ხელს შევუწყობთ რედაქციის ჟურნალისტების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65; 599 227 929.**

*მოგიწოდებთ, გამოიწეროთ, იყიდოთ, იკითხოთ გაზეთი „ბორჯომი“, რათა იყოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში.*

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია**

# ღმერთო, შეაყვარე ქართველებს ერთმანეთი!

**დღეს ქვეყნის** უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს კულტურასა და განათლება, რომელიც ცივილიზებული ქვეყნის აშენების საფუძველია. საზღვარგარეთის ქვეყნები 3-4-ჯერ მეტ თანხებს კულტურასა და განათლებაზე ხარჯავენ, რაც დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების" ოპონენტები არა თუ ქვეყნის უკეთესად განვითარებაზე ან ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ დიალოგზე აგრძელებდნენ საუბარს, არამედ ყველაფერს კადრულობდნენ როგორმე იაფფასიანი აქციებით თუ გამოხტომებით საზოგადოებაში დათესონ შუღლი, მტრობა, ღვარძლი, ხელისუფლებისადმი უნდობლობა და სხვა ამბიციური აზრები. ყოველმხრივ მკაფიოდ იკვეთება ტენდენცია და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მცდელობა, როგორმე მოიპოვონ თანამდებობა, რისთვისაც ყველაფერს კადრულობენ. **თუნდაც ბიძინა ივანიშვილისადმი წაყენებული ბრალდებები ავიღოთ. ყველაფერს მას აბრალებენ, რაც ამა თუ იმ პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო ან ვერ გააკეთა. არადა, არცერთ ბიზნესმენსა თუ მილიონერს (რომელიც არც თუ ცოტა გვყავს საქართველოში) ყველას ერთად იმდენი სიკეთე ქართველი ხალხისათვის არ გაუკეთებია, რამდენიც ამ ერთმა კაცმა უშურველად და დაუყვედრებლად გააკეთა, წესით ყველა მისი მადლიერი უნდა იყოს.**

ბატონმა ბიძინამ ქვეყანა დაღუპვისაგან იხსნა, „ქართულმა ოცნებამ" ბევრი რამ გააკეთა საქართველოს სტაბილური განვითარებისათვის, ეკონომიკური წინსვლისათვის, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და როგორც არასდროს, დღეს ისეა საჭირო ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაცია და ჯერ კიდევ ქვეყანაში არსებული პრობლემების ერთიანი ძალით გადაწყვეტა. (თუნდაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების გზით). არადა, რადიკალური ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავს.

სამწუხაროდ, ერთი არგუმენტი მაინც მოიყვანონ, თავიანთი ნათქვამის გასაბათილებლად, იმის ნაცვლად, რომ მკაფიოდ გავაანალიზოთ თუ სად დავუშვით შეცდომები და როგორ გამოვასწოროთ, დღითი დღე საწინააღმდეგოს ვაკეთებთ, ერთ მუშტად შეკვრის ნაცვლად, ერთმანეთს დავერიეთ და გადავემტერეთ, დაგვავიწყდა სახარებისეული შეგონება: - „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" და იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვზივართ.

**არსებული პოლიტიკური ვაკხანალია გამოიწვია პოლიტიკურმა უმწიფრობამ და პოლიტიკური განათლების უკიდურესად დაბალმა დონემ. პოლიტიკაში ბევრი უცოდინარი პიროვნება მოვიდა, რომლებსაც ქვეყნის მართვა სურთ, მაგრამ როგორ მართონ, არ იციან. პოლიტიკა საზოგადოების მართვის ხელოვნებაა, სამწუხაროდ, ოპოზიციის აზრით საზოგადოების მართვა აქციების მოწყობით იწყება და მთავრდება, რაც ყოვლად გაუმართლებელია და პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელი ხალხის შეცდომაში შეყვანის კლასიკური მაგალითია. ამ გზით არჩევნებში გამარჯვება დამღუპველია და ამას მკაფიოდ ვხედავთ არჩევნებიდან არჩევნებამდე. პოლიტიკას, დიპლომატიას, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, კულტურას, განათლებას და სხვა დარგებს, მაღალკვალიფიციური, დაბრძენებული ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენ და არა ქუჩის პოლიტიკოსები, გაუთვითცნობიერებელი ადამიანები, რომლებსაც ერთი დღითაც არ უმუშავიათ წარმოებაში, ხალხთან, საზოგადოებაში.**

ამ ფუნდამენტურ მოთხოვნებს რომ არ ითვალისწინებს ოპოზიცია, იმიტომ არიან სავალალო დღეში.

დღეს ყველა ხედავს, რომ ხელისუფლების ნაბიჯები გაცილებით პროგრესულია, ვიდრე ოპოზიციის იმ ნაწილის, ვინც უარს ამბობს ყველანაირ მოლაპარაკებაზე და შეთანხმებაზე. ამიტომაცაა „ქართულ ოცნებაში" გაბედულად რომ აცხადებენ, მომავალ არჩევნებში ისევ ჩვენ გავიმარჯვებთო და გვაუწყებენ ნაცმოძრაობაში შიდა პარტიულ გარჩევებზე და იმასაც ამბობენ, პარტია დაშლის პირასააო.

„ქართული ოცნების" სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ევროპაში მისი ლეგიტიმაციის პრობლემა არსებობს, თუმცა ევროპარლამენტის დეპუტატთა ერთ ნაწილს არ მოსწონს, რადგან დაწუნების საბაბს ვერ ხედავენ. ევროპას მარტო საქართველოს ომში ჩართვა არ უნდა, არც სტაბილურობა არ სურს საქართველოში. ოპოზიცია კი მუდმივად არასტაბილურობის შექმნას ცდილობს. ამ სიტუაციას, რომ არ ითვალისწინებენ, ამიტომ არიან მუდამ წამგებიან პოზიციაში.

არის ერთი მეტად გულუბრყვილო კითხვა: დავუშვათ, ბიძინა ივანიშვილს დაუწესეს სანქციები. ოპოზიციას რა მოგება ექნება? სამწუხაროდ, რადიკალურ ოპოზიციას მცდარი შეხედულებები აქვს პროცესებზე. ბრმად აფასებენ პოლიტიკურ ვითარებას, თუ იმას ფიქრობენ, ივანიშვილის გარეშე „ქართული ოცნება" დაიშლება, ძალიან ცდებიან. როგორც ჩანს, ოპოზიცია ცუდად იცნობს უმრავლესობის შესაძლებლობებს. თუ მოწინააღმდეგე პარტიის შესაძლებობებს კარგად არ იცნობ და მის შესაძლებლობებს სუსტად აფასებ, ეს ყველაზე გამოუსწორებელი შეცდომა კი არა დანაშაულია.

**სახელისუფლებო პარტიაში საკმაოდ ძლიერი გუნდია. მათ სამი ლიდერი ყავთ: ღარიბაშვილი, კალაძე და კობახიძე, ისინი უმრავლესობის დაშლაზე არც საუბრობენ. 2024 წლის არჩევნებისთვის მიზანმიმართულად ემზადებიან და მათი დამარცხება არც ისე ადვილია, როგორც მათ წარმოუდგენიათ.**

ამიტომაცაა, რომ პოლიტიკური მიმომხილველები რადიკალური ოპოზიციის სასარგებლო შეფასებებს არ იძლევიან. მაშ, რის იმედად საუბრობენ შეიარაღებულ აქციებზე, გადატრიალებებზე, რუსეთთან ომში ჩართვაზე და ა.შ.

ფაქტია, საქართველოში რადიკალურ ოპოზიციას და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს შიდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რასაც ეწირება ქვეყნის აწმყო და მომავალი. არადა, ფაქტია, ქვეყნის მოსახლეობის 85 პროცენტს ევროკავშირის წევრობა სურს. ოპოზიცია კი ამ საკითხზეც ვერ ახერხებს ხელისუფლებასთან ერთად მუშაობას, რათა ხარისხიანად შემუშავდეს ევროკავშირიდან გამოგზავნილი 12 პუნქტიანი სავალდებულო კითხვარი. და ეს იმიტომ ხდება, რომ პარტიული და პირადი ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა დგას. ასეთი დამოკიდებულება კი დამღუპველია ჩვენი ბედკრული ქვეყნისათვის, როგორც ჩანს, საქართველო ახლაც იმ ავბედით წრეზე ბრუნავს, რაზეც საუკუნეების მანძილზე ბრუნავდა უხეირო მეფეების თუ ავყია თავადაზნაურობის მეოხებით.

**რა მართალი ყოფილა ვაჟა-ფშაველა, როცა წერდა, „ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და ორივეს ერთად საქართველო". იქნებ ახლა მაინც აღსრულდეს დიდებული პოეტის ეს ბრძნული შეგონება.**

**ვალერიან ლომიძე**

საქართველოს პარლამენტში

# პარტიულ კინკლაობაში ქვეყანას სწირავენ

**ტელევიზიების** სხვადასხვა არხებით მთელმა საქართველომ მოისმინა პრემიერ-მინისტრის ანგარიში პარლამენტის წინაშე. მოხსენების შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა პარლამენტის მუშაობა. ყველამ ვიცოდით, რომ ოპოზიციასა და პოზიციას შორის „ქარბორბალა" დატრიალდებოდა. ასეც მოხდა. მოხსენების დასაწყისშივე პრემიერ-მინისტრს ადგილიდან წამოძახილებით „დაეტაკა" ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე.** რა თქვა პრემიერმა? -ევროკომისიის გადაწყვეტილება, საქართველოსთვის „პერსპექტივის" მონიჭება ისტორიული მოვლენააო! ქალბატონმა ხატიამ წამოიძახა: ტყუილიაო! ეს ჩემი აზრით, ნაწილობრივ სიმართლეა! რატომ? სიტყვა „პერსპექტივა" შეიძლება მართლაც არ ჩაწერილა დოკუმენტებში საქართველოს მისამართით და სიტყვის „გამოჩენა" შეიძლება ფორმალურად მართლაც ისტორიულად შევაფასოთ, მაგრამ „პერსპექტივა" ხომ ფაქტიურად იმედის მოცემაა.. და „იმედის მიცემა" რა ისტორიული მოვლენაა? „ისტორიული" მაშინ იქნებოდა, საქართველოს „კანდიდატობა" რომ მინიჭებოდა უკრაინასა და მოლდოვასავით! ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და მთელმა „ოცნებამ", როგორც ჩანს გული არ გაიტეხა საქართველოს „დაჩაგვრით" და ოპოზიციის და ევროპის გასაგონად მაინც დადებით ნაბიჯად წარმოაჩინა „პერსპექტივის" მიენიჭება. ოპოზიციაც მაშინვე სიტყვიერად დაეტაკა მას. ოპოზიციას ამით იმის თქმა უნდა, რომ „ოცნების" ბრალია, კანდიდატობის არ მონიჭება, უმაქნისები ხართ, ხელისუფლების სადავეებს უნდა ჩამოშორდეთ და ადგილი ჩვენ დაგვითმოთო! განა ნაციონალების ნატვრაც ეს არ არის?!



პრემიერმა გააგრძელა მოხსენება და გააანალიზა, თუ რატომ არ მოგვანიჭეს ევროკავშირის კანდიდატობა. ევროკომისიის გადაწყვეტილება მან უსამართლოდ ჩათვალა, რადგან მთელი რიგი მონაცემებით (პარამეტრებით) ჩვენ უკრაინაზეც და მოლდოვაზეც წინ ვდგევართო! ეს, სიმართლეა და ამის შესახებ ევროპაშიც ალაპარაკდნენ. მაგრამ მთავარ დამნაშავედ პრემიერმა ოპოზიცია გამოიყვანა, რომლის წარმომადგენლებიც ევროპარლამენტის კაბინეტებში „ჩუმად" დაიარებოდნენ და მათ ხელმძღვანელობას უკიჟინებდნენ: საქართველოს კანდიდატობა არ მიანიჭოთ „ოცნების" მთავრობის ხელშიო. ირაკლი ღარიბაშვილმა ამ მხრივ „ხელი დაადო" ოპოზიციონერ (და ევროპული ენების მცოდნე) **სალომე სამადაშვილს** და ტრიბუნიდან მას პირდაპირ მოღალატე უწოდა. ქალბატონი სალომე ფეხზე წამოდგა და დამცინავად თავი დაუკრა დარბაზს, გმადლობთ ამ „წოდების" მონიჭებისთვისო! იქნებ სიმართლეს ამბობს სამადაშვილი, ევროპაში რომ დაიარება და საქართველოს ამუნათებს? **სიმართლეც რომ იყოს, განა „ოცნების" მტრობის გამო სამშობლო უნდა გაწირო?** განა სამშობლოზე წინ პატრიოტული ინტერესები უნდა დააყენო? აი ეს გამოიწვია პარტიების სიმრავლემ საქართველოში და რაც მთავარია, მათმა კინკლაობამ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. სამადაშვილის და სხვა ოპოზიციონერ ლიდერებს ასე გამოსდით: **თუ ჩვენ არ ვიქნებით, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილაო!** სწორედ ამ პარტიების გავლენის გაფართოებისთვის „მოიგონეს" აგრეთე არჩევნების სრული პროპორციით ჩატარება. სწორედ პარტიების „დიქტატურის და კინკლაობის" გამო გვერდზე რჩება ხალხი და სამშობლო.

იქნებ „ოცნებამ" მართლაც ხელი დააკლო მცდელობას, გამხდარიყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი? ჩემი აზრით, ხელი არ დაუკლია. გავიხსენოთ პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის და სხვათა ვოიაჟები ევროპაში. ბოლო ერთი თვის განმავლობაში, როგორ ვერ „მოარჯულეს" და თავის მხარეზე ვერ გადმოიყვანეს ევროკომისიის (ევროკავშირის) ხელმძღვანელები? როგორც ჩანს, აქ დიდი როლი ითამაშა იმან, რომ საქართველომ უკრაინაში ომის გამო ევროპის მსგავსად სანქციები არ დაუწესა რუსეთს. ამ მხრივ სწორად მოიქცა ღარიბაშვილი, რადგან იგი რეალობიდან გამოვიდა. ფაქტიურად, რუსეთი არჩენს საქართველოს ვაჭრობაში პარტნიორობით და მართლაც როგორ უნდა დაგვეწესებინა ამ დროს სანქციები?! **ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ხომ ნახევარ წელში ჩამოიშლებოდა** და, გარდა ამისა, გამძვინვარებული რუსეთი რაკეტებს თუ არ დაგვიშენდა, გორთან „სასაზღვრო" მავთულხლართების გადმოწევით ცენტრალურ მაგისტრალს გადაგვიკეტავდა. მერე ევროპა გვიშველიდა? ასე, რომ ევროკავშირი საქართველოს ხალხის ბედ-იღბალზე მაინც და მაინც თავს არ იტკივებს.

ჩემი აზრით, კანდიდატობის არ მონიჭებაში დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ „ოცნება" გაეთიშა ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის დირექტივებს, რომელიც მან საქართველოს დააკისრა (ყველას გვახსოვს, ტელევიზიებით პარტიების წარმომადგენლობის ხელმოწერები ამ დოკუმენტზე და ამას შარლ მიშელი თვალყურს ტელევიზიით ადევნებდა).

„ოცნების" ეს „თავნებობა" შარლ მიშელმა გულში ჩაიდო... და შედეგიც სახეზეა! უფრო უცნაური იყო შემდეგი: პრემიერის მოხსენების დამთავრებისთანავე სატელევიზიო ბრიფინგი გამართა საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** და ღარიბაშვილის მოხსენებას „შემაშფოთებელი" და „გამაოგნებელი" უწოდა. მან ევროკავშირის კრიტიკაში დაადანაშაულა ღარიბაშვილი! „ოცნებამ" ჯერ ხომ საქმე გააფუჭა ევროპაში (მისი აზრით) და ახლა ევროკომისიის კრიტიკასაც ბედავს, როცა ხვალ და ზეგ შეიძლება ჩვენც მოგვანიჭონ კანდიდატობაო... მათ უნდა ვეფეროთ და გუნდრუკი ვუკმიოთ, კი არ უნდა ვაკრიტიკოთო! ამ პოზიციაში მე, პირადად პრეზიდენტს არ ვეთანხმები. თავისდაუნებურად, პრეზიდენტი „ოცნების" ჯიბრზე ქვეყნის საქმეს აფუჭებს.

პრემიერის ანგარიში შუაღამემდე(!) გაგრძელდა. ოპოზიციის ერთი-ორი წარმომადგენელი თუ შემორჩა დარბაზს და პრემიერმა ახლა მათ დაატეხა კრიტიკის ქარცეცხლი. მან სასამართლოზე თქვა, რომ „კარგი სასამართლო გვაქვსო"(!) ჩემი აზრით გადაჭარბებულია ეს ქება, აქ რეფორმები ჯერ კიდევ ჩასატარებელია და საქმე ბოლომდეა მისაყვანი. ანალიტიკოსების უმრავლესობის აზრით, სასამართლოებში საქმეები უსაშველოდ იწელება, მრავალი საქმე კი თაროებზეა შემოდებული...

**უჩა ჯანგირაშვილი**

**ეს „შეჯახება" შარშან მოხდა.**
**P.S. პარლამენტში ახლაც დაბარებულია პრემიერ-მინისტრი. ალბათ ახალ „ჯოხს" უნდა ველოდოთ.**

**უ.ჯ.**

# სოციალური დახმარებები ბენეფიციარებს

**(დასასრული)**

**მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა**

საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი იმ ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 65 000-ს და დახმარება გაეწევათ 200 ლარის ოდენობით ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად.

**18 წლამდე ასაკის შშმ პირების დახმარების პროგრამაში დაემატა საკურორტო მომსახურება 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებზე.**

კერძოდ: დახმარება მიეცემა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს. ერთ ბენეფიციარზე საკურორტო მომსახურეობა განკუთვნილია ერთჯერადად არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით. ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს ისარგებლოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში ან კერძო გამქირავებელთან 6 დღე-ღამით. ბენეფიციარის დაფინანსება მოხდება მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს: განცხადება მუნიციპალიტერტის მერის სახელზე; განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ბენეფიციარის დაბადების მოწმობა; დახმარების მიმღების მიერ არჩეული სასტუმროს რეკვიზიტები და ინვოისი ან კერძო გამქირავებელთან (შემოსავლების სამსახურში გადამხდელად რეგისტრირებული) გაფორმებული ხელშეკრულება და გადამხდელის დამადასტურებელი საბუთი. თანხის გადარიცხვა მოხდება სასტუმროდან წარმოდგენილი შესრულებული მიღებული მომსახურების საფუძველზე.

**შშმ პირების დღის ცენტრების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში:**

განხორციელდება ცენტრის „ერთად რეალური ცვლილებებისათვის". ბენეფიციარების შეუფერხებლად ტრანსპორტირებისათვის ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავით უზრუნველყოფა.

**მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს იმ მარტოხელა მშობლების (დედა-მამა) ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით, რომლებსაც სახელწიფო სერვისების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ მარტოხელა მშობლის სტატუსი.

**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კომუნალური სუბსიდირება ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 70 000-მდე ქულის ოჯახებზე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობით უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით თანხის ჩარიცხვას.

**ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა.**

პროგრამით ისარგებლებენ I, II და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიური ბენეფიციარები საჭიროებების მიხედვით. კერძოდ: ა) სადიაგნოსტიკო მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება ქიმიოთერაპიის კურსის მიმდინარეობისას; ბ) ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება; გ) ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსება საყოველთაო ან კერძო დაზღვევის შემდგომ დარჩენილ თანხაზე. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი.

ხოლო III და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიურ პაციენტებს, რაიონის ონკოლოგის ან ოჯახის ექიმის მიერ შევსებული ფორმა №100-ის (ჩანაწერი მედიკამენტების ჩამონათვალით), რეცეპტის და აფთიაქიდან წარმოდგენილი კალკულაციის (დედანი) საფუძველზე გაეწიოს დახმარება ერთჯერადდ 150 ლარის ოდენობით.

**ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ოჯახის ყოველთვიურ ფულად დახმარებას ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მოქმედების ვადით ოჯახში მცხოვრებ თითოეულ ბავშვზე **100 (ასი)** ლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება საკვები პროდუქტის, ჰიგიენური საშუალებების, ბავშვის ხელოვნური საკვებისა და ჰიგიენური საფენების შეძენას.

# შეცდომა შევნიშნეთ, გავასწორეთ!

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის მიხეილ ხუციშვილის ინტერვიუ სათაურით „სოციალური უზრუნველყოფა ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია". მეორე გვერდის მესამე სვეტის მეოთხე აბზაცი უნდა იკითხებოდეს „დღის დღის" დღესასწაულის აღსანიშნავად დედებს, რომლებსაც ყავთ 3 (სამი) შვილი, მათ შორის ერთი შშმ შვილი, ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრა 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მეოთხე სვეტის მეცხრე აბზაცში „მეორე მსოფლიო ომში" და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მარჩენალდაკარგულ „ოჯახების ნაცვლად" უნდა ეწეროს „პირებს".**

**ინტერვიუს ავტორს და მკითხველს ბოდიშს ვუხდით უნებლიე შეცდომისათვის.**

# ვინ „გააბოროტა“ „მსუბუქი“ კანაფი

## მოსწავლეებს, რომლებიც მარიხუანას ხშირად მოიხმარენ, ინტელექტის დონეც დაბალი აქვთ“.

კანაფი ერთწლიანი ბოჭკოვანი მცენარეა. ცნობილია მისი სამი სახეობა: ჩვეულებრივი კანაფი, ინდური და ველური კანაფი. ამ მცენარეს ყველაზე მეტად ჭარბტენიანი ნიადაგი მოსწონს, თუმცა საქართველოში თითქმის ყველგან ხარობს. ველურ ბუნებაში ხშირად გვხვდება სვანეთში, აჭარასა და სხვა მთიან რეგიონებში. კანაფის სამშობლოდ ცენტრალური აზია ითვლება, თუმცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოჰყავთ, მათ შორის კავკასიაში, რუსეთში, უკრაინაში და სხვ.

**● რა დადებითი თვისებები აქვს ამ მცენარეს?**

– კანაფი ჩვეულებრივი სასარგებლო მცენარე იქნებოდა, ადამიანები ბოროტად რომ არ იყენებდნენ. მას სამეურნეო დანიშნულებაც აქვს, რადგან კანაფისგან მტკიცე ბაგირებსა და გამძლე ქსოვილებს ამზადებენ, ურევენ ტკბილეულსა და პურპროდუქტებშიც, რადგან საკვებს სასიამოვნო არომატს აძლევს. ამ მცენარეს ოდითგანვე იყენებდნენ მედიცინაში როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას. მცირე რაოდენობით და დოზით კანაფი ისეთივე სასარგებლოა, როგორიც ღვინო.

**მთავარია, ადამიანი არ დაეჩვიოს, რადგან კანაფზე დამოკიდებულება ძალიან საზიანოა, ისევე როგორც სხვა ნარკოტიკზე ან აზარტულ თამაშზე.** ამიტომ მშობლებს ადრიდანვე დიდი ყურადღება სჭირდებათ, რადგან ახალგაზრდები მოწევას უმეტესად თინეიჯერულ ასაკში იწყებენ. სწორედ ამიტომ მეტი ახსნა-განმარტებაა საჭირო: ბავშვმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ მარიხუანას სისტემატური მოწევა ჯანმრთელობას აზიანებს.

**– თუმცა მწეველები ამტკიცებენ, რომ ეს მსუბუქი ნარკოტიკია და ადამიანის ორგანიზმზე ცუდად არ მოქმედებს.**

– ამით ისინი თავიანთ საქციელს ამართლებენ. კანაფის მოწევას ხშირად იმ ასაკიდან იწყებენ, როცა ტვინი ყალიბდება, რაც ყველაზე საშიშია. მარიხუანას რეგულარულად მოწევას გაცილებით მავნე შედეგი მოაქვს, ვიდრე სიგარეტის მოწევას, თუმცა ორივე იწვევს ხველებას, ბრონქიტს, პნევმონიასა და სხვა ინფექციურ დაავადებებს, მეცნიერული კვლევებით დამტკიცდა, რომ ორივე ჯგუფის წარმომადგენლებს, ანუ სიგარეტისა და კანაფის მწეველებს, ფილტვის უჯრედები საგრძნობლად დაზიანებული ჰქონდათ. მედიკოსებმა ისიც დაადგინეს, რომ კანაფის ერთხელ მოწევისას იმდენივე ფისი გამოიყოფა, რამდენიც სიგარეტის სამი ღერის მოწევის დროს, გარდა ამისა, მარიხუანას რეგულარული მოწევა უარყოფითად მოქმედებს მეხსიერებაზე, ემოციებსა და მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციებზე, მავნე გავლენას ახდენს ტვინის უჯრედების მოქმედებაზეც:

**თუ ადამიანმა მარიხუანას მოხმარება თინეიჯერულ ასაკში დაიწყო, მას გაუჭირდება ახალი ინფორმაციის დამახსოვრება, რის გამოც მისი გონებრივი განვითარება შეფერხდება!**

მარიხუანას მოწევა ცუდად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც: ხშირად იწვევს სუნთქვის პრობლემებს და ქრონიკულ ბრონქიტს. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მარიხუანას მწეველები პნევმონიითა და სხვა ინფექციებით უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე არამწეველები.



მარიხუანას მოწევიდან პირველი საათის განმავლობაში მაღალია გულის შეტევის რისკიც, ასე რომ, ამ „მსუბუქ ნარკოტიკთან“ ხუმრობა დაუშვებელია.

**● როგორ მოქმედებს კანაფის მოწევა ორსულობის დროს?**

– აქაც მედიკოსთა კვლევები უნდა მოვიშველიოთ: მარიხუანა ნაყოფის განვითარებასაც პრობლემებს უქმნის და იმავდროულად, შესაძლოა ბავშვის ტვინის განვითარებაც დააბრკოლოს. ეს ნარკოტიკი საფრთხეს უქმნის ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობასა და მის მომავალს. მარიხუანას ხანგრძლივი მოხმარება იწვევს ჰალუცინაციებსა და პარანოიას. მოზარდები მარიხუანას მოხმარებას ისეთ პრობლემებამდე მიჰყავს, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა და სუიციდის მცდელობა. ყველაზე რთული მარიხუანაზე დამოკიდებულებაა: ამ დროს ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას ნარკოტიკის მიღებაზე, მაშინაც კი, როდესაც ის დიდ პრობლემებს უქმნის, მოწევის გარეშე ადამიანი თავს ცუდად გრძნობს, გაღიზიანებულია, ეცვლება განწყობა, ერღვევა ძილი, მადა და მარიხუანას მიღების დაუოკებელი სურვილი უჩნდება.

მარიხუანაზე დამოკიდებულების გაჩენის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, როცა მის მოხმარებას მოზარდობის ასაკში იწყებენ. ამ ნარკოტიკის მოხმარების კიდევ ერთი მავნე ეფექტი ის არის, რომ ადამიანში ჩნდება სწრაფვა სხვა, უფრო ძლიერი ნარკოტიკების მოხმარებისკენ. უმეტესად სწორედ მარიხუანაა პირველი ფსიქოტროპული საშუალება, რომელსაც იყენებენ შემდეგში უფრო ძლიერი ნარკოტიკების მომხმარებლები, რომელთა ჯანმრთელობა წლების განმავლობაში კიდევ უფრო ზიანდება. მარიხუანას დოზის გადაჭარბებას შეუძლია მძიმე გართულებების გამოწვევა, შფოთვითი აშლილობით დაწყებული, პარანოიისა და ფსიქოზური რეაქციების ჩათვლით.

**● ალბათ, ძალიან ბევრი ავადაც ხდება იმის გამო, რომ პლანის მოწევის შემდეგ საჭესთანაც სხდებიან.**

– ასეა, რადგან მარიხუანა აქვეითებს სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარს. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ დროს ავტომობილის მართვის უნარი დაქვეითებულია, რაც ავტოავარიის მიზეზი ხშირად გამხდარა. მეტიც, კანაფზე დამოკიდებულ ახალგაზრდებს უჭირთ სოციუმთან კონტაქტი, სწავლა და მუშაობა, რადგან დადასტურებულია კანაფის ნეგატიური გავლენა ყურადღებაზე, მეხსიერებასა და სწავლაზე. მოსწავლეებს, რომლებიც მარიხუანას ხშირად მოიხმარენ, ინტელექტის დონეც დაბალი აქვთ. არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ

**მისი აქტიური მოხმარება ხელს უშლის ადამიანის კარიერულ წინსვლასა და სოციალურ ცხოვრებას. ცხადია, კანაფზე დამოკიდებული ადამიანის ოჯახში კონფლიქტებიც უფრო ხშირია.**

მარიხუანას უარყოფითი გავლენა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზეც აისახება. მოკლედ, ამ მცენარის გავლენა სოციუმზე აშკარად უარყოფითია.

**● თუმცა არსებობს ზოგიერთი დაავადება, რომელთა დროსაც მარიხუანას მოწევა პირიქით, ნებადართული და საჭიროც კი არის.**

– დიახ, ზოგიერთ ქვეყანაში ნებადართული და რეკომენდებულია მარიხუანას გამოყენება, როცა ავადმყოფს სჭირდება. ამ შემთხვევაში მარიხუანა სპეციალური რეცეპტით გაიცემა. ეს ხდება უმეტესად სიმსივნით, გლაუკომით ან ნერვის დაზიანებით გამოწვეული ტკივილის დროს. სამედიცინო მარიხუანა შეიძლება დაინიშნოს მრავლობითი სკლეროზის, ქიმიოთერაპიული მკურნალობის, შიდსის ან სხვა მძიმე დაავადებების დროს, რადგან მას ტკივილის გაყუჩება და ანთების ჩაქრობა შეუძლია. ცხადია, მარიხუანას მოხმარება მხოლოდ განსაზღვრულ დროს განსაზღვრული დოზით შეიძლება, სპეციალისტის რეკომენდაციით. მისი შეუზღუდავად მოხმარება არ შეიძლება.

სწავლული აგრონომი **აკაკი ლლონტი**
**გაზ. „კვირის პალიტრა“**

# გაიმართა შშმ პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკითხზე მომუშავე საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდას.

სხდომას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ტაბატაძე.**

# გაფორმდა პარტნიორობის მემორანდუმი




**კომპანია** „IDS ბორჯომსა“ და საქართველოს სათხილამურო ფედერაციას შორის პარტნიორობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

„ბორჯომი“ ბაკურიანში 2023 წლის ფრისტაილის, სნოუბორდის და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური მინერალური წყალია.

სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის, ნატურალური მინერალური წყალი „ბაკურიანი“ ლიმიტირებული შეფუთვით შეიქმნა.

წარმატებას ვუსურვებთ ამ დიდ სპორტულ მოვლენას და განსაკუთრებით ვგულშემატკივრობთ იმ მონაწილეებს, ვინც ამ ტურნირზე ჩვენს ქვეყანას წარმოადგენენ.

## ზნეობის თემაზე

# ხომ არ აჯობებდა...

**ყოველდღიურ** ცხოვრებაში ერთი ადამიანის ქცევა მეორის მიმართ, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს ადამიანთა გუნება-განწყობილების ცვლილებას იმისდა მიხედვით, თუ როგორი მუხტის შემცველია ესა თუ ის ქცევა. ალბათ, სადავო არაა ის რეალობა, რომ ადამიანთა შრომის რეალიზაცია ოჯახში, სამსახურში თუ საზოგადოებაში, მათი გუნება-განწყობილების პირდაპირპროპორციულია.

დღეს არ მეგულება ქართველი, რომელიც წრფელი გულით არ განიცდიდეს ერის სატკივარს, რაც ჩვენ წინაშე წამოჭრილმა ეროვნულმა თუ ეკონომიკურმა პრობლემებმა წარმოაჩინა. გამომდინარე აქედან, ალბათ ყველაზე მეტად სწორედ ახლაა საჭირო ერთმანეთის მიმართ გამოვიჩინოთ გულისხმიერება და თანადგომა.

ადამიანები, როგორც საზოგადოების ნაწილი, ყოველდღიურად ვხვდებით და ვესალმებით ერთმანეთს. ზოგჯერ შეუგნებლად გულსაც კი ვტკენთ ერთურთს...

სალამი ღვთისააო – მამა-პაპათაგან მოდის ეს შეგონება. ალბათ მრავალი ცივილიზებული ერის ენაზე არ არის ისეთი ღრმა შინაარსიანი და ისეთი მრავლისმთქმელი მისალმება, როგორიც ქართულ ენაშია: – „დილა მშვიდობისა“, – „გამარჯობა“-ს – „საღამო მშვიდობისა“... ე.ი. მშვიდობასა და გამარჯვებას გისურვებს შემხვედრი პიროვნება და შენც სამაგიეროდ იგივეს უსურვებ მას. არცთუ იშვიათად. ადამიანი, როდესაც სიტყვა „გამარჯობას“ ეტყვის მეორეს, იგი პასუხობს, „გამარჯობას“ ნაცვლად „გაგიმარჯოსო“-ო. ზოგჯერ კი ადამიანი შემხვედრს ცივად მიუგდებს „გამარჯობას“, ისიც ცივად პასუხობს „გამარჯობა“. ასეთ მისალმებას ალბათ სჯობს საერთოდ არ მიესალმო.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის უკან, ახალდაბელი, ღრმად მოხუცებული გიორგი კამკამიძე იხსენებდა:

14-15 წლის ბიჭი ვიქნებოდი, ჩემს საპირისპირო მიმართულებით მოდიოდა სავანისხევისა და ახალდაბის (ჭაჭარაქის) თავადი გიგო სავანელი, ვიდრე დამიპირისპირდებოდა ადგილზე გავჩერდი, ქუდი მოვიშველიპე და ვფიქრობ როგორ მივესალმო. „დილა მშვიდობისა ბატონო“ – არ შეიძლება, რადგან შუადღეა, „საღამო მშვიდობისა ბატონო“ – მითუმეტეს არ შეიძლება. ამასობაში დამიპირისპირდა და მე თავისდაკვრით, ხმადაბლა „გამარჯობა ბატონო“ ვუთხარი. თქვენს მტერს რაც იმან მე დამმართა, ელვის სისწრაფით გადამიშხუილა მათრახი, რომელმაც ბეჭები და წელი ამიწვა, ლაჯებში და სახეში გაადინა ტკაცანი. თურმე ბატონმა გამარჯობის თქმა თავის გატოლებად ჩამითვალა. ახლა თქვენ მითხარით შუადღეს როგორ უნდა მივსალმებოდიო, დაიჩივლებდა ხოლმე გიორგი კამკამიძემ.

რამდენიმე წლის წინ ახალდაბაში ცხოვრობდა შუა ხანს გადაცილებული ვასილა ბარბაქაძე, მისთვის სულერთი იყო გზად ვინ შეხვდებოდა, ბავშვი, მოზარდი თუ მოხუცებული, 10-15 ნაბიჯით ადრე დაიხედავდა ტანზე, თითქოს სამოსს ისწორებსო, ჩაახველებდა ხმის ჩასაწმენდად და სალამს ვერ მოასწრებდი, ისე მადლიანად გეტყოდა „გამარჯობას“. დაახლოებით იმავე ხანებში ცხოვრობდა ხვედურეთიდან ახალდაბაში გამოთხოვილი ქალბატონი სონია, რომლის მეუღლე ლომიძე იყო. მისალმებაზე უკან დაგიბრუნებდა ისეთ ლოცვას, რომლის მსგავსიც არასოდეს გამიგონია: – „შენ გაძეხი ყოველდღიური სიხარულითა, შენ გაძეხი მზის ცქერითა, შენ გაძეხი სიყვარულითა, შე გასახარებელო“ და კიდევ მრავალ საამო სიტყვას მოაყოლებდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ასეთი ადამიანების სულები.

აქვე მინდა ერთი გარემოებაც აღვნიშნო, საბავშვო დაწესებულებებში და სკოლებში პედაგოგები ბავშვებს შეხვედრისას მიმართავენ: „სალამი ბავშვებო“ ან მარტო „სალამი“. ბავშვებიც იგივეს პასუხობენ. სიტყვა „სალამი“ ხომ თურქული მისასალმებელი სიტყვაა, „სალამ“ ან „სალამ ალეიქუმ“. ხომ არ აჯობებდა ჩვენთვის უშინაარსო არაქართული სიტყვა „სალამი“ ამოგვეღო ხმარებიდან და მის ნაცვლად ჩაგვესვა მრავლისმეტყველი, მამაპაპური „გამარჯობა“?

**ალგი ლომიძე,**
**მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.**

# ფეხით გადაადგილების საფრთხე – ქუჩაში

**მოისმინეს და** ვერ შეისმინესო, უნებლიედ გაგაფიქრებინებს ადამიანს. წლებია, ბორჯომის ქუჩებში პრობლემად იქცა ჯგუფურად 10-15-მდე ძაღლის გადაადგილება ცენტრალურ მოედანზე, სილამაზის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. ბორჯომის პატარა პარკში, განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ფეხით გადაადგილება დასახელებულ ტერიტორიებზე დილით ან საღამოს, რადგან ხალხმრავლობა ნაკლებადაა და



ჯგუფურად მოჩხუბარი ძაღლების დანახვა შიშის ზარს სცემს მოქალაქეებს. იგივე პრობლემაზე საუბრობენ მუნიციპალიტეტის შემოგარენში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობა. ვაშლოვანასა და ლიკანში ძაღლების ხმაური მთელი ღამის განმავლობაში ესმით აქ მცხოვრებლებს და ჩვენთან საუბრისას აღნიშნავენ, რომ ქუჩაში დამოუკიდებლად ბავშვი ვერ გაუშვიათ. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებოდი პირადად მე ვაშლოვანაში, სადაც ფეხით გადაადგილებისას მუდმივად შიშით გავლა და სხვისთვის დახმარების თხოვნა მიწევს, რათა ძაღლებს უსაფრთხოდ გავცოდი.

ხშირად ამბობენ, არაფერს გიზამს, თავისთვის მიდისო, არასწორია! თავისთვის მიდიოდა გამვლელი, რომ ყეფით, აგრესიით მივარდა „სილამაზის ხიდთან“ ძაღლი და გამვლელების დახმარებით და ყვირილით იხსნეს პატარა ბავშვი, არასდროს დამავიწყდება მისი შეშინებული თვალები, როგორ სვამდა მიწოდებულ წყალს. იგივე ფაქტს შევესწარი სასპორტო სკოლასთან, როდესაც 10 წლამდე ბიჭს ტრანსპორტიდან ჩასვლისას ძაღლი მივარდა და, რომ არა ისევ და ისევ უფროსების დახმარება და ბავშვის უცბად ტრანსპორტში შემოვარდნა, აგრესიული ძაღლის მოგერიება მარტო მოუწევდა, ფაქტი კი როგორი შედეგით დასრულდებოდა არც ისე რთული წარმოსადგენია, თუ ვიმსჯელებთ საავადმყოფოში ცოფის საწინააღმდეგო აცრების მაჩვენებელზე და ადგილობრივების ყოველდღიურ წუხილზე, რომ ძაღლების ასე უპატრონოდ, ჯგუფურად გადაადგილება ქუჩაში საფრთხეს უქმნის ბავშვებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, რომლებსაც ასე ერთად შეკრებული ძაღლების ჩხუბის და ყეფის ხმა აშინებთ.

წლებია ისმის დაპირება, ზუსტად 10 წელია, თავშესაფრის აშენება იგეგმება, მაგრამ დღემდე არ სრულდება, ასე ორივე მხრიდან შევხედოთ არსებულ პრობლემას, რადგან არ მინდა, ვინმემ გაიფიქროს, ძაღლების მიმართ უარყოფითად ვარ განწყობილი; თავშესაფრის აშენებით, ძაღლებს ზამთარში ექნებათ თავშესაფარი და ქუჩაში არ გაატარებენ ცივ ღამეებს; ზაფხულში, ექნებათ წყალი, რომელზეც ბევრჯერ დაწერეს და მიმართეს თხოვნით საზოგადოებას, რომ ქუჩებში უპატრონო ძაღლებისთვის ცხელ დღეებში წყალი მაინც დაედგათ და ეზრუნათ მათზე.

ქუჩაში და მითუმეტეს ბორჯომის უმშვენიერეს შემოგარენში სეირნობისას, სადაც ეძებ სიმშვიდეს და უნდა ტკბებოდე გარემო ხედებით, ამ სიმყუდროვეს არ უნდა გირღვევდეს ძაღლების გაუთავებელი ჩხუბი ბორჯომის ქუჩებში. ეს, ჩვენი ზრუნვის გამომხატველობით სახეს ქმნის ჩვენი საკურორტო ქალაქისათვის, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს როგორც ცხოველებისადმი მოპყრობით, ასევე ადამიანური ფაქტორით.

**იზა იანვარაშვილი**

# ვულოცავთ ლაურეატობას!



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერია კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს ულოცავს ლაურეატის წოდებას, რომელიც მათ საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე მიენიჭათ.

ფოლკლორულმა ანსამბლებმა **„მზეშინამ“, „ნენანამ“ და „თილისმამ“** 2022 წელს მონაწილეობა მიიღო ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში, რომლის შესარჩევი ტური მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.

ანსამბლებმა ფესტივალზე წარადგინეს ქართული სიმღერისა და ტრადიციული გალობის ნიმუშები. მეორე ტურში გადასვლის შემდეგ ანსამბლებს მიენიჭათ ლაურეატის წოდება და გადაეცათ სერთიფიკატი.

ეროვნულ ფესტივალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, კულტურის სამინისტროსთან ერთად, ხუთ წელიწადში ერთხელ ატარებს.

# ღირსეული მასწავლებლის აღიარება

**ბორჯომის №3** საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელს **ვალერი ჟადანს** საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭება ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, კულტურის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხთა კომისიის წევრებმა, საკრებულოს დეპუტატებმა, ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **იზოლდა ლომიძემ** და №3 საჯარო სკოლის დირექტორმა **ხათუნა ხარაზიშვილმა** პირადად მიულოცეს.



მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისთვის და ახალგაზრდებში სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის მადლობის სიგელი და „მეგა ტექნიკის“ 500-ლარიანი ვაუჩერი გადასცეს.

**ვალერი ჟადანი** აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას 1985 წლიდან ეწევა. ის ბორჯომის მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრების სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი აქტიური პედაგოგია. მან საქართველოს ნაკრებს არაერთი წარმატებული მძლეოსანი აღუზარდა. ის გახლავთ პროფესიონალი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით ტარდება სხვადასხვა დონის რაიონული და საერთაშორისო შეჯიბრებები. რამდენიმე ათწლეულია ბორჯომის №3 საჯაროს სკოლის წარმატებული მასწავლებელია და დღენიადაგ ზრუნავს მოსწავლე-ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის.

# "აუხდენელი დარჩა ოცნება...

**ეს სიტყვები ეკუთვნის ბორჯომელ პოეტს, ვასილ ლომიძეს, რომელსაც სურვილი არ აუსრულდა, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა,**

**ვისი, ოცნების აალმასება დაიფარება ქმუნვის ზენარით, შუბლიც ხაზებით შეიგარსება დაჭარმაგებას თუ მოესწარი...**



**დაჭარმაგებას ვერ მოესწრო, თან წაიღო ახლობელთა, მეგობართა ტკივილი უდროოდ წასული სიცოცხლისა...**

არა, არავინ და არაფერია დავიწყებული და დაკარგული. 2023 წლის 26 იანვარს №6 საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბი-სალონის „მანანას“ (**ხელმძღვანელები: ქეთევან და ანასტასია ხაჩიძეები)** და პედაგოგ **ლელა მუხურაძის** თაოსნობით გავაცოცხლეთ 26 წლის ჭაბუკი - ვასილ ლომიძე, სიტყვის გაალმასება, სიცოცხლით ტკბობა რომ არ დასცალდა.

ღონისძიება მეტად ემოციური იყო, დარბაზი სავსე იყო ბატონი ვასილის ახლობლებითა და მოსწავლეებით. ლექსი ლექსს ცვლიდა, გამომსვლელი - გამომსვლელს.

აუხდენელი დარჩა ოცნება - ასეთი იყო ღონისძიების ლოგო. აქტიურად მონაწილეობდნენ VII[ა] და VIII[ბ] კლასის მოსწავლეები. ასევე ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ბორჯომის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა. ახლობლებმაც გაიხსენეს პოეტი და მადლიერება გამოთქვეს ვასილ ლომიძის გახსენებისათვის.

მეტად გულისამაჩუყებელი იყო პოეტის ძმისშვილის, **ნათელა ლომიძის** ექსკლუზიური ჩართვა ღონისძიების მსვლელობაში.

მსმენელებს სიტყვით მიმართა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორმა, ლომიძეების გვარის წინამძღოლმა **ვალერიან ლომიძემ.**

# ამჯერად საპატიო მეხუთე ადგილზეა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა **დავით თედიაშვილმა,** რომელიც სკი კროსის ნაკრების წევრია, შვეიცარიის კურორტ St. Moritz-Si FIS-ის სარეიტინგო შეჯიბრებაში ქულები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. მან 47 მონაწილეს შორის V ადგილი დაიკავა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია **დავით თედიაშვილს** ულოცავს მიღწეულ შედეგს და დიდ წარმატებას უსურვებს 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბაკურიანში.

# ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადაა!

**ფრისტაილის,** სნოუბორდის და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ორიოდე კვირაღა დარჩა. 16 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ბაკურიანში 700-მდე სპორტსმენი იასპარეზებს. ამ ჩემპიონატის ღირსეული მასპინძლობისათვის ბაკურიანი ხუთი წელი ემზადებოდა - აქ აშენდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ჩემპიონატის მესვეურთა მტკიცებით კურორტი მზადაა ამ გამოწვევისთვის. ახალი საბაგირო გზები მწყობრშია, დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, ახალი ტრასები. 42 ქვეყანა გააშუქებს ჩემპიონატის მსვლელობას. საერთო ჯამში 30 ფინალი გათამაშდება. სამთო-სათხილამურო სპორტის ეს სახეობები ოლიმპიური სახეობებია. მსოფლიო ჩემპიონატი ითვლება ბაკურიანის და საქართველოს განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად.

სპეციალურად ამ შეჯიბრისათვის შეძენილი იქნა სპეცტექნიკა. ინფრასტრუქტურის ნაწილში ყველა სამუშაო დასრულებულია. ასევე სრულ მზადყოფნაშია ორი ხელოვნური ტბა - წყლის რეზერვუარი ხელოვნური გათოვლიანებისათვის. ასევე ხელოვნური გათოვლიანების 29 კილომეტრიანი ხაზი, რომლის ფუნქციონირებაც უკვე დაწყებულია. ჩემპიონატის მესვეურები იმედოვნებენ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ბუნებრივი პირობები საშუალებას მისცემს, რომ ხელოვნური თოვლი აწარმოონ.

ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოსა და ბაკურიანში ეს საერთაშორისო შეჯიბრი უმნიშვნელოვანესია. ყველა უწყება თვლის, რომ სრულ მზადყოფნაში არიან.

ჩემპიონატი 18 თებერვალს დაიწყება. შეჯიბრებებს კოხტისა და დიდველის ფერდობები უმასპინძლებს. ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება დაესწროს ამ სანახაობას. მესვეურთა სურვილია რაც შეიძლება ბევრი ბავშვი და მოზარდი ადევნებდეს თვალს ტურნირს, რადგან მოტივირებულები იყვნენ და ჩვენთანაც განვითარდეს სპორტის ეს სახეობები ჯეროვნად. ასევე გაკონტროლდება ნარჩენები, ამ კუთხით სიურპრიზებს სთავაზობენ გულშემატკივრებს ჩემპიონატის ორგანიზატორები. ბუნების დაცვა და დანაგვიანების აღმოფხვრა ერთ ერთ მთავარ პრიორიტეტად განიხილება. ასევე შეზღუდული იქნება პიროტექნიკის გამოყენება.

ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი გაიმართება 18 თებერვალს ე.წ. ოცდახუთიანების მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს, 18 თებერვლიდან 5 მარტამდე, დილის ათი საათიდან საღამოს ხუთ საათამდე გადაიკეტება გზა ანდეზიტის გადასახვევიდან დიდველამდე, და ასევე სასტუმრო კომპლექს „მგზავრებიდან“ კოხტას ტრასის მისასვლელამდე. ამ დროს და კონკრეტულ მონაკვეთებზე იმოძრავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, 3-4 წუთში ერთხელ, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ჩემპიონატის მონაწილეები (ასევე მედიის თანამშრომლები და სხვ) გადმოსაყვანი იქნებიან დიდველიდან კოხტაზე. არსებობს ორი საპარკინგე არეალი ოცდახუთიანის მიმდებარედ და მგზავრებთან, შესაბამისად 600 და 200 მანქანამდე გათვლილი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასური იქნება ერთი ლარი. 16 თებერვალს ჩამოვლენ დელეგაციები. ჩემპიონატის გახსნისა და დახურვის ცერემონიალის გარდა, ოცდახუთიანის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩემპიონატის მსვლელობის დროს მუდამ იფუნქციონირებს ე.წ „სოფელი“, სადაც ადგილობრივი მეწარმეები თუ თბილისიდან ჩამოსული რესტორნების შეფ მზარეულები წარმოადგენენ ნაციონალურ კერძებს, მოხდება მათი დაგემოვნება. იმუშავებს დიჯეი, საღამოობით გაიმართება კონცერტები, მუდმივად იქნება ჩართული მუსიკა, ასე რომ ე.წ. დრაივ ლოკაცია, დამატებით სადღესასწაულო განწყობას შესძენს ბაკურიანს.

შეჯიბრებების გამარჯვებულების დაჯილდოებები გაიმართება კონკრეტული ტრასების (კოხტა, დიდველი) მიმდებარედ.

**რუსუდან სხირტლაძე**

# ამღერებული ლექსი



**დალი ბანცაძის** შემოქმედების შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრჯერ დაგვიწერია. მისი ლექსები უკვე რამდენიმე ერთეულ პოეტურ კრებულშია შესული. შემოქმედი ქალბატონი საკუთარ ლექსებს თითქმის ყოველ დღე ტვირთავს საკუთარ სოციალურ გვერდზე. მუსიკის სფეროში მოღვაწე ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ სიმღერისათვის შესაბამისი, ასე ვთქვათ, ლამაზი ტექსტის დეფიციტია. თუმცა, დალის შემოქმედება ამ მხრივ გამონაკლისი გახლავთ, რადგანაც მის ლექსებს შორის უკვე სამი მათგანი აამღერეს. ეს ლექსებია - **„მინდა ჩიტი ვიყო ნიბლია“, „სულის სიმები“** და სულ რამდენიმე დღის წინ კი იუთუბის არხზე ახალი სიმღერის პრემიერა შედგა, რომელსაც მომღერალი და კომპოზიტორი **დავით გასიტაშვილი** (გორელი) ასრულებს. შემსრულებელი ისრაელში ცხოვრობს. სიმღერის სახელწოდება გახლავთ **„დავდივარ მარტო“.**

დალის ლექსებიდან გარდა სიმღერებისა, ორი ლექსი წაიკითხა და გაახმოვანა პოეტმა **ნინო როსტიაშვილმა.** სულ ახლახანს კი **გოჩა ჭაბუკაიძემ.** პოეტი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას არ წყვეტს და ამბობს, რომ მისთვის დიდი პატივია თუკი რომელიმე შემოქმედი გამოიყენებს მის ლექსს და კიდევ მეტი მკითხველი და მაყურებელი გაიცნობს. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენ თანაქალაქელ უნიჭიერეს პოეტს.

**ნატო მელიქიძე**

# ომაზი ჩხეიძის გამოსათხოვარი



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა ბორჯომის დიდი გულშემატკივარი, ცნობილი მხატვარი, მწერალი და დიდი შემოქმედი ომაზი ჩხეიძე და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს და ბორჯომის საზოგადოებას.**

**ომაზ ჩხეიძე დაიბადა 1948 წელს 6 ივნისს. დაამთავრა ბორჯომის №6 საშუალო სკოლა. ბავშვობიდან ხატავდა. იყო მოსწავლეთა შორის რესპუბლიკური და საკავშირო კონკურსების მრავალგზის წარმატებული მონაწილე.**

**მან წითელ დიპლომზე დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდების მშენებლობის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა მოსკოვში ასპირანტურაში, პარალელურად გაიტაცა ფერწერამ.**

**პირველი პერსონალური გამოფენა ჰქონდა 1988 წელს ბორჯომში, შემდეგ თბილისში, საიდანაც მისი 4 ტილო გაიგზავნა მოსკოვში, საკავშირო ფესტივალზე, სადაც 6000 ექსპონატს შორის „გალაქტიონმა“ მოიპოვა პირველი ადგილი და ოქროს მედალი.**

**ასევე დიდი წარმატება ხვდა ამ ტილოს 1989 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე სადაც უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“ მიენიჭა. აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი ტილოები „ვეფხისტყაოსანი“, „ილია“, „ექვთიმე თაყაიშვილი“, „აბესალომ და ეთერი“ და სხვა. ბოლო პერსონალური გამოფენა 2009 წელს, სამების საკათედრო ტაძარში ჰქონდა, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა.**

**ბატონმა ომაზმა გამოსცა ისტორიული რომანი „გახლეჩილი რწმენა“, ასევე „ჩვენი მესხები“, რომელშიც აღწერილია დეპორტირებული მესხთა პრობლემები. ომაზ ჩხეიძე იყო ბორჯომის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს, წარმატებით მონაწილეობდა რესპუბლიკურ და რეგიონალურ ტურნირებში, მის მოსწავლეებს არაერთი მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მოპოვებული ქვეყნის მასშტაბით.**

**2018 წელს არჩეული იყო ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.**

**სამწუხაროდ, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ხელი შეუშალა თავისი ნიჭის ბოლომდე განხორციელებაში. ნათელში ამყოფოს ღმერთმა ნიჭიერი შემოქმედის სული. მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც ძალიან უყვარდა.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნიჭიერი შემოქმედი, მწერალი, მხატვარი, შესანიშნავი მოქალაქე, ფართო პროფილის პიროვნება, ბორჯომის საპატიო მოქალაქე**
**ომაზი ჩხეიძე**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**